

The Venice Charter

*translated
in*

GEORGIAN

GEORGIEN

ICOMOS National Committee using this version:

Georgia/Georgie

საერთაშორისო ქარტია ძეგლისა და რესტავრაციის შესახებ

არქიტექტორთა და ისტორიის ძეგლების სპეციალისტთა II საერთა-
შორისო კონგრესი. ვენეცია, 1964. მიღებულია იკომოსის მიერ 1965.

ესა თუ ის მონუმენტალური ქმნილება, რომელიც ხალხთა წარსული
კულტურის ანარეკლს წარმოადგენს, დღესაც ცოცხალი ორგანიზმია—
იგი საუკუნოვანი ტრადიციების ცოცხალი მოწმეა. ისტორიული
ძეგლი საერთო ღირებულებას, საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს.

მას შემოუგ, რაც საერთაშორისო ხაზით შემუშავებულ იქნა ძირითადი
პრინციპები, რომელთაც უნდა დაფუძნებოდა ძეგლთა კონსერვაციისა
და რესტავრაციის საქმე, მათ ყოველი ერთი იცავს თავისი კულტურისა
და ტრადიციების თავისებურებათა შესაბამისად.

პირველად ეს პრინციპი ჩამოყალიბდა 1931 წელს, ათენის ქარტიის
სახით. მან დიდად შეუწყო ხელი ფართო საერთაშორისო მოძრაობის
განვითარებას— გამოქვეყნდა არა ერთი ნაციონალური დოკუმენტი,
მუშაობა გააჩაღა იუნესკომ, შეიქმნა ძეგლთა კონსერვაციისა და
რესტავრაციის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრი რომში.

კრიტიკული აზრი ამა თუ იმ პრობლემას მუდამ მრავალფეროვნებას
და კომპლექსურობას მატებს. ამასთან, უკვე დროულიცაა, გადაისინ-
ჯოს ათენის ქარტიის პრინციპები, გადრინადეს და გაჯართოდეს ეს
დოკუმენტი და ამრიგად შეიქმნას ახალი ქარტია.

შესაბამისად ამისა, არქიტექტორთა და ისტორიული ძეგლების სპე-
ციალისტთა II საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც ვენეციაში შე-
იკრიბა 1964 წლის 25 მაისს, მოიწონა შემდეგი ტექსტი:

განსაზღვრება

კუნძი 1

ისტორიული ძეგლის მცნება მოიცავს როგორც ცალკეულ არქიტექტურულ
ნაწარმოებს, ასევე ქალაქისა და სოფლის ლანდშაფტს, რომელიც

განსაკუთრებული თვითმყოფი კულტურის დამადასტურებელია. განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი თუ ისტორიული ძეგლი გულისხმობს არა მარტო უნიკალურ ძეგლებს, არამედ უბრალო, თითქოს და რიგით ნაწარმოებებსაც, რომლებიც კარგად ასახავს თავის ეპოქას და რომელთაც გარკვეული კულტურული მნიშვნელობა აქვს.

კუნძი 2

ძეგლთა კონსერვაცია და რესტავრაცია სამეცნიერო დისციპლინაა. იგი იშველიებს ყოველი მეცნიერებისა და ყოველი სპეციალისტის ყველა იმ გამოცდევას, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის საქმეს.

კუნძი 3

ძეგლთა კონსერვაცია და რესტავრაცია მიზნად ისახავს დაცვას როგორც ხელოვნების ნაწარმოები, ასევე ისტორიული დოკუმენტი.

კონსერვაცია

კუნძი 4

ძეგლის კონსერვაცია, პირველ ყოვლისა, გვაგვალებს მის დაცვასა და ყოველდღიურ მოვლა-პატრონობას.

კუნძი 5

ძეგლის კონსერვაცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მის გამოყენებასაც, ე.ი. ასეთი გამოყენება დასაშვებია, ნაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავამახინჯოთ /შეცვალოთ/ შინობის აგებულება ანდა დეკორი.

კუნძი 6

ძეგლის კონსერვაცია ძეგლთან დაკავშირებულ გარემოსაც გულისხმობს. თუ არსებობს ტრადიციული გარემო, იგი უნდა შევინარჩუნოთ და ყოველგვარი ახალი მშენებლობა, ყოველგვარი დაშლა და გადაკეთება, რამაც შეიძლება დაამახინჯოს სახე, აკრძალულია.

კუნძი 7

ძეგლი განუყოფელია ისტორიისაგან, რომლის მოწმეც იგი არის და იმ გარემოცვისაგან, რომელშიაც ისაა ჩართული. მთელი ძეგლის ან

მისი ნაწილის გადატანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ძველის გადარჩენის საქმე მოითხოვს, ან მაშინ, როცა ეს გამართლებულია გარკვეული ნაპირონალური თუ საერთაშორისო მოსაზრებებით.

კუნძუნი 8

ქანდაკების, მხატვრობის თუ დეკორატიული მორთულობის სხვა რაიმე ელემენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადაშორდეს ძველს, თუ ეს ერთადერთი გამოსავალია მისი კონსერვაციისათვის.

რესტავრაცია

კუნძუნი 9

რესტავრაცია – ეს არის საშუალება, რომელსაც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა მივმართოთ. მისი მიზანია ძველის ისტორიულ და ესთეტიკურ ღირებულებათა კონსერვაცია და აღდგენა. იგი მუდამ ანგარიშს უნდა უწევდეს ძველის ძველ ფუძეს და მუდამ უნდა ემყარებოდეს ავთენტურ დოკუმენტებს. რესტავრაცია უნდა შეწყდეს იქ, სადა ჩნდება პიპოტება. გამონაკლისია ამ შემთხვევაში ყველა ის სამუშაოები, რაც აუცილებელია არქიტექტურული კომპოზიციის აღსადგენად. ყოველგვარი დანამატი ჩვენი დროის დას უნდა ატარებდეს.

კუნძუნი 10

რამდენადაც ტრადიციული ტექნიკა ხშირად არაა ადეკვატური, უნდა მივმართოთ კონსერვაციისა და მშენებლობის ყველა თანამედროვე ტექნიკას. ეფექტურობა დასაბუთებული იქნება მეცნიერების მონაცემებით, ხოლო მისი უზრუნველყოფა ცდების საქმეა.

კუნძუნი 11

უნდა გავუფრთხილდეთ ყოველი ეპოქის ყველა იმ ანდამანტს, რომელიც ძველს მოჰყვება დღემდე. ამიტომაც, რესტავრაციის პროცესში შეუძლებელია მიზნად დაგსახოთ ერთიანი სტილის დაცვა. რამდენადაც ყოველ ნაგებობაში შესაძლოა იყოს რამდენიმე ფენა, მათი მოშორება ქვედა ფენისაგან შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლისის სახით და იმ პირობით, თუ ეს ზედა ფენები ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ კომპოზიცია, რომელიც ფენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად არის

შექმნილი, ნახტად დაგვიმოწმებს ისტორიულ, არქეოლოგიურ და ესთეტიკურ ღირებულებათა მაღალ დონეს და თუ ამ კომპოზიციის კონსერვაცია საკმარისი იქნება განსჯისათვის. საკითხის გადაწყვეტა ამ შემთხვევაში - ელემენტების ღირებულებისა და ფენების /ოპერატიული/ თაშორების შესახებ - არ შეიძლება პროექტის ერთ ავტორს მივანდოთ მიხლოდ.

კუნძი 12

ის ელემენტები, რომელნიც ნაგებობის ნაკლული ნაწილებისათვისაა გათვალისწინებული, სრულ ჰარმონიაში უნდა იყოს მთელ ანსამბლთან და ამავდროს მკვეთრად უნდა გამოირჩეოდეს ძველი ნაწილებისაგან.

კუნძი 13

ნაგებობის დასრულება დასაშვებია, თუ შენარჩუნებული იქნება ყველა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი და თუ ის არ არღვევს მთელი კომპოზიციის ისტორიულ საზღვრებს და ძეგლის კავშირს მთელ გარემოსთან.

ქალაქის ცენტრის ძეგლები

კუნძი 14

ქალაქის ცენტრი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. მისი მთლიანობის, მისი გეგმარების დაცვა, ზრუნვა მისი გაჯანსაღებისათვის და მისი ექსპლუატაციისათვის; ყველა საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაო, რომელიც ქალაქის ცენტრშია გათვალისწინებული, უნდა ემყარებოდეს იმ პრინციპებს, რომლებიც წინა პარაგრაფში იყო გამოთქმული.

ბათხრები

კუნძი 15

გათხრითი სამუშაოები უნდა განხორციელდეს იმ სამეცნიერო ნორმებისა და რეკომენდაციების მიხედვით, რომელიც იუნესკომ მიიღო 1956 წელს "რომლებიც საფუძვლად დაედო არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოების საერთაშორისო პრინციპებს".

საჭიროა უზრუნველყოთ ნანგრევების მოწესრიგება, მათი კონსერვაცია. აუცილებელია არქიტექტურული ელემენტებისა და აგრეთვე გათხრის შედეგად გამოვლენილი ყველა სხვა საგნის მუდმივი დაცვის ორგანიზება.

საჭიროა აგრეთვე განვმარტოთ ძეგლის მნიშვნელობა, მისი მოვლა-პატრონობისა და დაცვის აუცილებლობა. მაგრამ ყოველგვარი სამუშაო, რეკონსტრუქციის ხაზით, გამორიცხული უნდა იყოს. შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ანასტილიზი, ე.ი. ჯერ კიდევ არსებული, მაგრამ გათიშული ნაწილების შეერთება-შეკავშირება.

კუბლიკაცია

კუნძი 16

საკონსერვაციო, სარესტავრაციო და გათხრით სამუშაოებს მუდამ თან უნდა ახლდეს ზუსტი დოკუმენტაცია - ნახატებითა და ფოტოსურათებით, ილუსტრირებული ტექსტით, რომელშიაც გაანალიზებულია მთელი ეს მასალა. განშრევების, გამაგრების, შეერთების, დანამატი სამუშაოების ყველა ფორმა, ისევე როგორც ტექნიკური ელემენტები და ის ფორმები, რომლებიც ორიგინალის განმეორებითაა შექმნილი - ყველა-ფერი ეს ამ ტექსტში უნდა იყოს ასახული. მთელი ეს დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა არქივებს და ყოველი მათგანი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მკვლევართა და მეცნიერთათვის. რეკომენდირებულია მათი კუბლიკაცია.

1937 წ. არქიტექტორთა III საერთაშორისო კონგრესი რომში.

ძეგლთა კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტიის სარედაქციო კომისიაში შედიოდნენ:

- პიერო გაცოლა /იტალია/ - თავმჯდომარე;
- რაიმონ ლემერი /ბელგია/ - მომხსენებელი;
- ბასეგოდა ნონელი /ესპანეთი/;
- ბენავენტი ლუისი /პორტუგალია/;
- ბორკოვიჩ ჯურჯე /იუგოსლავია/;
- დაიფუკუ ხიროხი /იუნესკო/ და სხვები.